სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

22442131032121

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

წმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N210412789

რეგისტრაციის თარიღი

27.04.2021 წ

ნოტარიუსი: მარიამ კვეზერელი-დავითაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ავლაბრის ქ. #8ა
ტელეფონი: 599900424

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცდაერთი წლის ოცდაშვიდ აპრილს ჩემთან, საქართველოს ნოტარიუსს მარიამ კვეზერელი-დავითაშვილის სანოტარო ბიუროში მდებარე, ქ. თბილისი, ავლაბრის ქ. #8ა, გამოცხადდა მოქ. **ვაჩაგან მკრტიჩიანი**. მან განაცხადა, რომ იცის ქართული წერა- კითხვა და იგი არის **შპს "M.I. Technics"-ის** დირექტორი, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, საიდენტიფიკაციო კოდი: **406046283**, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B21040135, ამონაწერის მომზადების თარიღი: 20/04/2021 19:12:09. იურიდიული მის: საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონში, III მასივი, IX კვ., კორპ. 3ა, ბ. 6. **შპს "M.I. Technics"-ის** დირექტორს **ვაჩაგან მკრტიჩიანი-ს** სურდა სათანადო უფლებამოსილების მინიჭება მოქ. **გივი გოგრიჭიანისთვის** და მან მოითხოვა შესაბამისი მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება, მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **შპს "M.I. Technics"-ს** დირექტორმა **ვაჩაგან მკრტიჩიანმა** (დაბ.23.05.1958წ., თბილისში. რეგისტრირებული მისამართი: ქ. თბილისი, III მასივი, IX კვარტალი, კორპუსი 3ა, ბინა 6. პირ. #01027021409) - მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. ასევე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და შევადგინე მინდობილობის პროექტი, წავუკითხე და განვუმარტე სამართლებრივი შედეგები. აგრეთვე განვუმარტე, რომ მარწმუნებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან წაიკითხა მინდობილობა მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

ორი ათას ოცდაერთი წლის ოცდაშვიდ აპრილს მე, **შპს "M.I. Technics"-ის** დირექტორი **ვაჩაგან მკრტიჩიანი** უფლებამოსილებას ვანიჭებ მოქ. **გივი გოგრიჭიანს** (დაბ.03.07.1955წ., რეგისტრირებული მისამართი: ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის ჩიხი N 3 ბ. 90. პირ. #60003000511) მასზედ, რომ მან წარმოადგინოს ჩემი, როგორც **შპს "M.I. Technics"-ის** დირექტორის ინტერესები ნებისმიერ შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან (სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, საჯარო რეესტრში, იუსტიციის სახლში, საგზაო ზედამხედველობის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, გარემოს დაცვის სამსახურში და ა.შ) **შპს "M.I. Technics"-ის** კუთვნილი უძრავი ქონების (ს/კ 01.19.21.002.395) მშენებლობასთან დაკავშირებით. მიიღოს/დაამტკიცოს მშენებლობის ნებართვა, შეათანხმოს პროექტი, მოახდინოს კორექტირებები, ფართის დაზუსტება ან/და მონაცემებში ცვლილებების შეტანა, დაწეროს განცხადებები, განაცხადოს თანხმობები, გააკეთოს აზომვითი ნახაზები. ასევე, მიიღოს, ჩააბაროს და გამოითხოვოს ნებისმიერი დოკუმენტაცია, ცნობა, ინფორმაცია, ნებართვა ნებისმიერი დაწესებულებიდან, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს ცვლილება/შესწორება. დაესწროს საქმის განხილვას. ჩემს მაგივრად მოაწეროს ხელი საჭირო დოკუმენტაციას, გადაიხადოს საჭირო მოსაკრებელი და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც საჭირო გახდება ამ დავალებების შესრულებისათვის.

მინდობილობა გაცემულია სამი თვის ვადით და ძალაშია 2021 წლის ოცდაშვიდი ივლისის ჩათვლით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს მარიამ კვეზერელი - დავითაშვილის სანოტარო ბიუროში, დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური: 10 (ათი) ლარი + 2 (ორი) ლარი, სულ: 12 (თორმეტი) ლარი, (სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება #507, 2011 წლის 29 დეკემბერი) 31-ე, 39-ე მუხლ.

ვაჩაგან მკრტიჩიანი

ნოტარიუსი: მარიამ კვეზერელი – დავითაშვილი